შპს „მუხა-გ“

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 საწყობის შენობის

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი
2023წ

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 საწყობის შენობის

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი  გ. გოგოლაძე

შეადგინა გ. გოგოლაძე

თბილისი
2023 წ

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ)

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 საწყობის შენობა

1. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოები

1.1. მოპ-ი მუშავდება არქიტექტურული და კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

1.2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს სამშენებლო ობიექტზე საწყობის შენობის სამშენებლო სამუშაოების წარმოებას.

1.3. მშენებლობის დაწყებამდე, მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების დროს მოხდეს ობიექტზე მშენებლობის მონაკვეთის შემოფარგვლა-შემოღობვა. სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ, შრომის უსაფრთხოების ორგანიზების ფარგლებში მოხდეს მანიშნებელი და გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.

1.4. ინსტრუმენტალურად მოხდეს სამშენებლო მოედნის დაკვალვა-დაგეგმვა, დატანილი იქნეს შესაბამისი რეპერები.

2. მშენებლობის რიგითობა, ეტაპები და ხანგრძლივობის დადგენა

2.1. მშენებლობის თავისებურებიდან გამომდინარე დადგენილი იქნა მშენებლობის თანმიმდევრობა-**რიგითობა**:

- მოსამზადებელი სამუშაოების და დროებითი ღობის მოწყობა, ასევე უსაფრთხოების ზომების დასახვა და შესაბამისი ნიშნების დაყენება;
- სამშენებლო მოედნის ინსტრუმენტალური დაკვლვა, რეპერების მოწყობა;
- მიწის სამუშაოები საწყობის საძირკვლებისათვის;
- საწყობის შენობის რკინაბეტონის წერტილოვანი და ლენტური საძირკვლების მოწყობა;
- საწყობის შენობის რკინაბეტონის კედლების მოწყობა;

- საწყობის შენობის ლითონის კარკასის მონტაჟი;
- საწყობის შენობის კედლების შეფუთვა და სახურავის ბურულის მოწყობა სენდვიჩპანელებით;
- საწყობის შენობის რკინაბეტონის იატაკის მოწყობა;
- საინჟინრო კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება) გარე და შიგა ქსელების მონტაჟი;
- სარემონტო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
- ტერიტორიის მოწესრიგება, ობიექტის ჩაბარება ექსპლუატაციაში.

2.2. მშენებლობის პროცესში გამოყოფილი იქნა ორი რიგი, რომლებშიც გამოიყო ეტაპები.

I რიგი: მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები:

ეტაპი 1 – მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც მოიცავს სამშენებლო მოედნის შემოღობვას დროებითი ღობით, უსაფრთხოების ზომების დასახვა და შესაბამისი ნიშნების დაყენება, მოედნის მოშანდაკება და სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე;

ეტაპი 2 – შენობის ინსტრუმენტალური დაკვალვა, ძირითადი ღერძების და რეპერების დაფიქსირება;

II რიგი: მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები:

ეტაპი 3 – მიწის სამუშაოები, საწყობის შენობის საძირკვლებისათვის ქვაბულის მოწყობა;

ეტაპი 4 – საძირკვლების მოწყობა, საწყობის შენობის რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლების მოწყობა და ლენტური საძირკვლების მოწყობა;

ეტაპი 5 – საწყობის შენობის რკინაბეტონის კედლების მოწყობა +1.00 მ ნიშნულამდე;

ეტაპი 6 – საწყობის შენობის ლითონის კარკასის (სვეტები, კოჭები, გრძივები, კავშირები) მოწყობა;

ეტაპი 7 – საწყობის შენობის სახურავის კედლების შეფუთვა და სახურავის დაფარვა -სენდვიჩპანელების მოწყობა;

ეტაპი 8 – საწყობის შენობის რკინაბეტონის იატაკის მოწყობა, სარემონტო სამუშაოები;

ეტაპი 9 – საინჟინრო კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება) მონტაჟი;

ეტაპი 10 – ტერიტორიის მოწესრიგება, ობიექტის ჩაბარება ექსპლუატაციაში.

2.3. მშენებლობის საერთო ხანგრძლივობა განისაზღვრა დამკვეთთან შეთანხმებით და შეადგენს 12 (თორმეტი) თვეს, ცალკეული ეტაპების ხანგრძლივობა წარმოდგენილია კალენდარულ გრაფიკში.

3. მშენებლობის განხორციელების პროცესში შესადგენი დაფარული სამუშაოების, დათვალიერების და გამოცდის აქტების ჩამოთვალი

3.1. მშენებლობის პროცესში უნდა მოხდეს **დაფარული სამუშაოების აქტი**ს შედგენა შემდეგ სამუშაოებზე:

3.1.1. საწყობის შენობის წერტილოვანი და ლენტური საძირკვლების მოწყობა;

3.1.2. საწყობის შენობის რკინაბეტონის კედლების მოწყობა +1.00 მ ნიშნულამდე;

3.2. **დათვალიერების აქტები** უნდა შედგეს შემდეგ სამუშაოებზე და ეტაპებზე:

3.2.1. საძირკვლებისათვის მოწყობილი ქვაბულის მიღება ინჟინერ გეოლოგის მიერ;

3.2.2. კონსტრუქციული ელემენტების დაარმირების და ლითონის კონსტრუქციული ელემენტების შეერთების შესაბამისობის მიღება ეტაპების შესაბამისად ინჟინერ კონსტრუქტორის მიერ;

3.3. მშენებლობაში კონსტრუქციულ ელემენტებში გამოყენებული უნდა იქნეს სერტიფიკატის მქონე სამშენებლო მასალები (არმატურა, ლითონის პროფილები), რკინაბეტონის კონსტრუქციების დაბეტონებამდე ბეტონის მწარმოებელის ან დამოუკიდებელი ლაბორატორიის მიერ ობიექტზე აღებული უნდა იქნეს ბეტონის ნიმუშები და შესაბამისი წესით მოხდეს **გამოცდის აქტების**ს შედგენა.

4. მშენებლობაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ღონისძიებები

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად (დადგენილება №361), ასევე მოქმედი სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

4.1.1. სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება;

4.1.2. მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებული უნდა

ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის, ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავისან ასაცილებლად;

4.1.3. მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით;

4.1.4. მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

4.1.5. მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები;

4.1.6. ტვირთის ჩაბმა ასაწევად არ უნდა მოხდეს თვითნაკეთი ჩასაბმელით და უნდა განხორციელდეს ამწე მექანიზმის ქარხნული ჩასაბმელით ან ტვირთის ჩასაბმელი სპეციალური მოწყობილობით. ჩაბმის ხერხი უნდა გამორიცხავდეს ტვირთის ვარდნის ან სრიალის შესაძლებლობას;

4.1.7. მიწის სამუშაოების დაწყებამდე უნდა დადგინდეს მოქმედი მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროკაბელები, გაზსადენები) განლაგების ადგილები;

4.1.8. მიწისქვეშა კომუნიკაციების ზონაში მიწის სამუშაოები უნდა წარმოებდეს პასუხისმგებელი პირის დასწრებით, ხოლო მოქმედი კაბელის ან გაზსადენის განლაგების ზონაში მათი დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში – ქსელების ოპერატორი კომპანიის წარმომადგენლის მეთვალყურეობით;

4.1.9. სამშენებლო მოედანზე ბეტონის მოსამზადებელად გამოყენებული ბეტონსარევებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება უნდა განხორციელდეს მათი

უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მწარმოებლის მიერ დადგენილი წესებით;

4.1.10. ყალიბების რამდენიმე იარუსად დაყენებისას, ყოველი მომდევნო იარუსი დაყენებული უნდა იქნეს მხოლოდ წინა იარუსის დამაგრების შემდეგ;

4.1.11. ბეტონის ნარევის ელექტროვიბრატორით შემკვრივების დროს უნდა გამოირიცხოს დენგამტარის იზოლაციის დაზიანება;

4.1.12. სამშენებლო კონსტრუქციის აწევა დასაშვებია მხოლოდ გვარლზე მიმაგრებული მარყუჟის ან ტრავერსის ჩაბმით. ამწის მემანქანესა და მემონტაჟეს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაციის საშუალება;

4.1.13. მუშების ყოფნა კონსტრუქციისა და დანადგარების ელემენტებზე მათი გადაადგილების დროს სასტიკად აკრძალულია;

4.1.14. შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციების მონტაჟისას, მემონტაჟეები უნდა იმყოფებოდნენ ამ სამუშაოს შესასრულებლად წინასწარ დაყენებულ და საიმედოდ დამაგრებულ კონსტრუქციებზე ან ხარაჩოებზე;

4.1.15. სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ექსპლუატაციაში მყოფი ელექტროქსელი უნდა გამოირთოს;

4.1.16. გადახურვის სამუშაოებზე მუშების დაშვება შეიძლება მას შემდეგ, რაც შემოწმდება სახურავის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა;

4.1.17. საიზოლაციო რულონური მასალის გამოყენებისას, თუ სამუშაო წარმოებს ღია ცეცხლის გამოყენებით, მუშებს უნდა ეცვათ სპეცტანსაცმელი და სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები;

5. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

5.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია”

5.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები შენობა-ნაგებობების და საწარმოთა მშენებლობისას”.

5.3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. 64 საწყობის შენობის მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

	№	სამუშაოების დასახელება	XII თვე				XIII თვე				XIV თვე				XV თვე				XVI თვე				XVII თვე				XVIII თვე				XIX თვე				XX თვე				XXI თვე				XXII თვე				XXIII თვე				XXIV თვე			
			კვირა																																																				
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96
I რიგი	1	ეტაპი I - მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც მოიცავს სამშენებლო მოედნის შემოღობვას დროებითი ღობით, უსაფრთხოების ზომების დასახვა და შესაბამისი ნიშნების დაყენება, მოედნის მოშანდაკება და სამშენებლო ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე																																																						
	2	ეტაპი II - შენობა ნაგებობების ინსტრუმენტალური დაკვალვა, ძირითადი ღერძების და რეპერების დაფიქსირება																																																				
II რიგი	3	ეტაპი III– მიწის სამუშაოები, საწყობის შენობის საძირკვლებისათვის ქვაბულის მოწყობა																																																				
	4	ეტაპი IV– საძირკვლების მოწყობა, საწყობის შენობის რკინაბეტონის წერტილოვანი და ლენტური საძირკვლების მოწყობა;																																																				
	5	ეტაპი V – საწყობის შენობის რკინაბეტონის კედლების მოწყობა +1.00 მ ნიშნულამდე;																																																			
	6	ეტაპი VI - საწყობის შენობის ლითონის კარკასის (სვეტები, კოჭები, გრძივები, კავშირები) მოწყობა;																																																			
	7	ეტაპი VII - საწყობის შენობის სახურავის კედლების შეფუთვა და სახურავის დაფარვა -სენდვიჩპანელების მოწყობა;																																																			
	8	ეტაპი VIII– საწყობის შენობის რკინაბეტონის იატაკის მოწყობა, სარემონტო სამუშაოები;																																																			
	9	ეტაპი IX – საინჟინრო კომუნიკაციების (წყალი, კანალიზაცია, ელექტრომომარაგება) მონტაჟი;																																																			
	10	ეტაპი X – ტერიტორიის მოწესრიგება, ობიექტის ჩაბარება ექსპლუატაციაში.																																																			

ნასატარებელი სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 24 (ოცდაოთხი) თვეს.

შეადგინა: გ. გოგოლაძე

შენიშვნა: I ეტაპში გაწერილი ვადა 4 კვირის ნაცვლად გახდა 48 კვირა (ერთი წელი)

გენ-გეგმა

3
2
1


482600
4624250
482550
4624100
04/1
08/1
05/1
01/1
02/1
4624150
4624200
482500
4624050
482550
4624050
Sheraton Tbilisi Metekhi Hotel
Shera gauTbilisi TuTmoqs
saxelobis kuCa
qsnis quCa
planSetsobidan datanili kanalizaciis xazi
Sheraton Tbilisi Metekhi Hotel
Shera gauTbilisi TuTmoqs saxelobis kuCa